



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## თვითმმართველობის დებულება

დამტკიცებულია საერთო კრების 2019 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით (დანართი №1)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი  
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მოამზადა: პრეზიდენტი \_\_\_\_\_  
ხარისხის მართვის  
შეამოწმა: კომისია \_\_\_\_\_  
დაამტკიცა: საერთო კრება \_\_\_\_\_

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R&G

ვერსია: 2.00

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

განახლების თარიღი: 17/01/2023

დამტკიცების თარიღი: 06/11/2019

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო  
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.  
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ  
ერთეულს.

**შინაარსი**

შეტანილი ცვლილებები .....4

**ცვლილებების ნუსხა.....5**

მუხლი 1. მოქმედების სფერო .....6

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები .....7

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები.....8

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებები.....8

მუხლი 5. თვითმმართველობის ორგანოები.....9

მუხლი 6. თვითმმართველობის წევრის სტატუსი .....9

მუხლი 7. თვითმმართველობის საერთო კრება .....9

მუხლი 8. საერთო კრების უფლებამოსილებები .....10

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი.....11

მუხლი 10. თვითმმართველობის დელეგატის ვალდებულებები .....12

მუხლი 11. თვითმმართველობის პრეზიდენტი.....13

მუხლი 12. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილებები.....14

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი .....15

მუხლი 14. დეპარტამენტების ფუნქციები.....15

მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები .....16

მუხლი 16. ბიუჯეტი .....17

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები .....17



შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	თარიღი
1.	საერთო კრება	19.02.2021
2.	საერთო კრება	17.01.2023

თავდაპირველი რედაქცია: 06.11.2019

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
1.		9	სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი
2.		11	თვითმმართველობის პრეზიდენტი
3.		15	სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები
4		11	თვითმმართველობის პრეზიდენტი

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

- 1.1. შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში - „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.
- 1.2. სტუდენტური თვითმმართველობა არ არის იურიდიულ პირი. სტუდენტური თვითმმართველობა არის აპოლიტიკური კავშირი, რომელსაც ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა.
- 1.3. სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მუშაობა შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის დებულებებთან.
- 1.4. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის დებულებებითა და წინამდებარე დებულებით. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება ამ დებულების შესაბამისად.
- 1.5. სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
- 1.6. სტუდენტური თვითმმართველობა მოქმედებს დამოუკიდებლად, უნივერსიტეტის ადინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე.
- 1.7. სტუდენტური თვითმმართველობა ვერ გამოაქვეყნებს, გაავრცელებს ან გამოაკრავს განცხადებებს საუნივერსიტეტო კამპუსში ან მის გარეთ, უნივერსიტეტის ადინისტრაციის ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება განხილული იქნება, როგორც დისციპლინის დარღვევა.
- 1.8. სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, N2, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

2.1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის - R3 შესაბამისად ჩაირიცხა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის გასავლელად;
- ბ) **სტუდენტური თვითმმართველობა** – უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
- გ) **შხსუ/უნივერსიტეტი** – შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- დ) **უნივერსიტეტის ადმინისტრაცია** - უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;
- ე) **სკოლა** - უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით.*

- ვ) **სკოლის საბჭო** - უნივერსიტეტის შესაბამის სკოლაში არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლისაგან;

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით.*

- ზ) **საერთო კრება** - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება წინამდებარე დებულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული პირებისაგან;
- თ) **პრეზიდენტი** - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;
- ი) **ვიცე-პრეზიდენტი** - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოადგილე;
- კ) **დეპარტამენტი** - კონკრეტულ სფეროში, დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

**მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები**

- 3.1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:
  - 3.1.1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;
  - 3.1.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;
  - 3.1.3. შეიმუშავოს წინადადებები უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ და წერილობითი ფორმით წარუდგინოს შესაბამის ორგანოს;
  - 3.1.4. შექმნას ოპტიმალური გარემო სტუდენტთა სოციალურ-კულტურული განვითარებისთვის, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;
  - 3.1.5. ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოვებას. ხელი შეუწყოს მათი კულტურების წარმოჩენას;
  - 3.1.6. დაამყაროს და განამტკიცოს ურთიერთობები სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
  - 3.1.7. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

**მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებები**

- 4.1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:
  - 4.1.1. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;
  - 4.1.2. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
  - 4.1.3. შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ, რომელთაც თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირი წარუდგენს მმართველ საბჭოს/სკოლის საბჭოს;



*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

- 4.1.4. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების საქმიანობაში საუნივერსიტეტო და სასკოლო დონეებზე;  
*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*
- 4.1.5. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აწყობს შესაბამისი შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;
- 4.1.6. ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 5. თვითმმართველობის ორგანოები

- 5.1. თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:
  - ა) თვითმმართველობის საერთო კრება;
  - ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი;
  - გ) თვითმმართველობის დეპარტამენტები.
- 5.2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს უფლებამოსილება უწყდებათ უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევის მომენტიდან.

## მუხლი 6. თვითმმართველობის წევრის სტატუსი

- 6.1. თვითმმართველობის წევრის სტატუსი არის მისი წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს თვითმმართველობის ორგანოების წევრთა უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და საქმიანობის წესს.

## მუხლი 7. თვითმმართველობის საერთო კრება

- 7.1. თვითმმართველობის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, დელეგატთა და დეპარტამენტთა ხელმძღვანელების საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული

ყველა დელეგატის, ვიცე-პრეზიდენტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან.

- 7.2. თვითმმართველობის მორიგ საერთო კრებას თვეში ორჯერ მაინც იწვევს თვითმმართველობის პრეზიდენტი, დელეგატები ან დეპარტამენტის ხელმძღვანელები.
- 7.3. თვითმმართველობის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რიგგარეშე თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევაც:
  - ა) თვითმმართველობის პრეზიდენტის ინიციატივით;
  - ბ) თვითმმართველობის დელეგატთა და დეპარტამენტის ხელმძღვანელთა არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.
- 7.4. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია პრეზიდენტის ხმა.
- 7.5. თვითმმართველობის საერთო კრებას თავმჯდომარეობს თვითმმართველობის პრეზიდენტი. მისი არყოფნის შემთხვევაში კი - ვიცე-პრეზიდენტი.

## მუხლი 8. საერთო კრების უფლებამოსილებები

- 8.1. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:
  - 8.1.1. დაამტკიცოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;
  - 8.1.2. შეიტანოს ცვლილებები/დამატებები თვითმმართველობის დებულებაში;
  - 8.1.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს დადგენილებები, რომელსაც ხელს აწერს თვითმმართველობის პრეზიდენტი;
  - 8.1.4. პრეზიდენტის წარდგინებით მიიღოს გადაწყვეტილება ახალი დეპარტამენტის შექმნის, გაუქმების და/ან დეპარტამენტების შეერთების შესახებ, ასევე დეპარტამენტის უფროსების კანდიდატურების დამტკიცების შესახებ;
  - 8.1.5. განხორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებასა და მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი**

9.1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი (შემდგომში „დელეგატი“) არის თვითმმართველობის წევრი, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით არჩეულ იქნა თვითმმართველობის მართვის ორგანოებში.

9.2. თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება აირჩეს სტუდენტური თვითმმართველობის ქმედუნარიანი წევრი, რომელიც მიიღებს შესაბამისი სკოლის დეკანის რეკომენდაციას.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით.*

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

9.3. თვითმმართველობის დელეგატად არ შეიძლება აირჩეს:

ა) საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და სადოქტორო პროგრამების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები;

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით.*

ბ) სტუდენტი, რომელსაც დისციპლინარული სასჯელის სახით მიღებული აქვს 3-ზე მეტი საყვედური ან უფრო მკაცრი სასჯელი ბოლო ერთი წლის განმავლობაში;

გ) სტუდენტი, რომელიც არის ნასამართლევია.

9.4. სტუდენტი შესაძლებელია არჩეულ იქნეს დელეგატად მხოლო ერთხელ, 1 წლის ვადით.

9.5. დელეგატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

9.6. დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალარჩეულითვითმმართველობის დელეგატების პირველ შეკრებისთანავე.

9.7. დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა;

გ) უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

- დ) წინამდებარე დებულების, ეთიკის კოდექსის - R2 უხეში დარღვევა. ასევე, სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის - R7 შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში 3 -ჯერ საყვედურის მიღება;
- ე) არასაკმაყოფილო მიზეზით, თვითმმართველობის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობის მიუღებლობა უწყვეტად ერთი თვის განმავლობაში;
- ვ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდამჭერის მიმღებად ცნობა;
- ზ) გარდაცვალება.

9.8. დელეგატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავს შესაბამისი სკოლიდან თვითმმართველობის დელეგატობის ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის სკოლაზე დააგროვა სხვებთან შედარებით მეტი, მაგრამ თვითმმართველობის დელეგატად არჩევისათვის არასაკმარისი ხმათა რაოდენობა.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით.*

9.9. დელეგატის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია:

- ა) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა;
- ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- გ) სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება.

9.10. წინამდებარე დებულების 9.9 პუნქტში მითითებული უფლებამოსილების შეჩერების ვადები განისაზღვრება შესაბამისად, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების და პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით.

## მუხლი 10. თვითმმართველობის დელეგატის ვალდებულებები

10.1. თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში;
- გ) დაესწროს უნივერსიტეტის სკოლის საბჭოს სხდომებს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

დ) ყოველი თვის ბოლოს, სკოლის საბჭოში თვითმმართველობის წარმომადგენლის სახელით ჩართულმა დელეგატმა უნდა ჩამოაყალიბოს, დანერგოს და უზრუნველყოს საკუთარ სკოლაში თვითმმართველობის საქმიანობის შეფასების გამოკითხვა, წინასწარ შემუშავებული შეფასების კითხვარის მეშვეობით და წარუდგინოს თვითმმართველობას. ასევე უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების/უკმაყოფილების გამოსწორება;

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

ე) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზირებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს ღონისძიების განხორციელების პროექტი და წარუდგინოს საერთო კრებას განსახილველად;

ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

ზ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

თ) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობები.

## მუხლი 11. თვითმმართველობის პრეზიდენტი

11.1. თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საერთო კრებას და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

11.2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც აკმაყოფილებს დებულების 11.2<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნასა და დელეგატისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

11.2<sup>1</sup> სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პირველი კურსის სტუდენტი.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

11.3. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ 1 წლის ვადით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

11.4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საერთო კრების სრული შემადგენლობის 1/2-ს, ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის არანაკლებ 50 მხარდამჭერ სტუდენტთა ხელმოწერას.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით.*

11.5. თუ თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, 5 დღის ვადაში იმართება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს. თუ მეორე ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა ან მეორე ტურში ხმების თანაბრად გაყოფისას, 10 დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

## მუხლი 12. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილებები

12.1. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე;

12.2. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ახორციელებს თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით.

12.3. თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) კოორდინაციას უწევს საერთო კრების მუშაობას;
- ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს თვითმმართველობის საერთო კრებას;
- გ) ხელს აწერს თვითმმართველობის საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- დ) თვითმმართველობის საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის უფროსების კანდიდატურებს (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მე-9 მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს);
- ე) საერთო კრების წინაშე აყენებს ინიციატივას დეპარტამენტის უფროსების გათავისუფლების შესახებ;
- ვ) ნიშნავს და ათავისუფლებს თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტს.



- ზ) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს;
- თ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოების სხდომებში უნივერსიტეტის შიდა აქტებით დადგენილი წესით;  
*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*
- ი) ინციატივით მიმართვას საერთო კრებას დეპარტამენტების შექმნის/გაუქმებისა და შეერთების შესახებ;
- კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას.

### მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი

- 13.1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.
- 13.2. დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და წევრებისგან.
- 13.3. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.
- 13.4. დეპარტამენტის წევრი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სტუდენტი, რომელსაც ირჩევს და ათავისუფლებს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და დეპარტამენტების უფროსებისგან შემდგარი კომისია.
- 13.5. სტუდენტურ თვითმმართველობაში შექმნილია შემდეგი დეპარტამენტები:
  - ა) განათლებისა და კულტურის დეპარტამენტი;
  - ბ) გართობი დეპარტამენტი;
  - გ) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი;
  - დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
  - ე) მუსიკალური დეპარტამენტი.

### მუხლი 14. დეპარტამენტების ფუნქციები

- 14.1. განათლებისა და კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს დისკუსიებს, დებატებს და სხვა სახის ინტელექტუალურ და კულტურულ აქტივობებს. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებების ორგანოზებას.

- 14.2. **გართობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს სტუდენტთა გასართობი-დასასვენებელი ღონისძიებების ორგანიზებას.
- 14.3. **სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების დაცვას. წარმოადგენს სმათ ინტერესებს თვითმმართველობის საერთო კრების წინაშე.
- 14.4. **საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, ასევე ინფორმაციის მიწოდებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური სისტემის შექმნას;
- 14.5. **მუსიკალური დეპარტამენტი** ახორციელებს მუსიკალურ პროექტებს.

## მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები

- 15.1. მორიგი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის სემესტრში, მარტი-აპრილის პერიოდში.  
*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით.*
- 15.2. არჩევნები ტარდება პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ტერიტორიაზე (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, N2).
- 15.3. არჩევნების წესით ხდება თვითმმართველობის პრეზიდენტისა და დელეგატების არჩევა.
- 15.4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს აქტიური სტატუსის მქონე უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.
- 15.5. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის სტუდენტების არანაკლებ 1/3.
- 15.6. არჩევნების ორგანიზებისათვის უნივერსიტეტი იყოფა საარჩევნო უბნებად სკოლების მიხედვით.  
*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით.*
- 15.7. სკოლების სტუდენტები ირჩევენ პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი თვითმმართველობის 1 დელეგატს, თითო სკოლიდან.  
*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით.*



15.8. სკოლის საბჭოში სკოლის წარმომადგენელი არის შესაბამისი სკოლის დელეგატი.

*ცვლილებები შეტანილია საერთო კრების 2023 წლის 17 იანვარის გადაწყვეტილებით.*

15.9. არჩევნებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს აწესრიგებს თვითმმართველობა, უნივერსიტეტის მიერ თვითმმართველობასთან საკონტაქტო სტრუქტურული ერთეულის დახმარებით.

## მუხლი 16. ბიუჯეტი

16.1. სტუდენტური თვითმმართველობა ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით უფლებამოსილია ითანამშრომლოს საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე აპოლიტიკურ გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

16.2. ბიუჯეტის შესაბამის დამფინანსებელთან წარდგენამდე, სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია შემუშავებული და დასაბუთებული პროექტი და ფინანსური გეგმა განსახილველად წარუდგინოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული, თვითმმართველობასთან საკონტაქტო სტრუქტურული ერთეულს.

16.3. უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელი დამფინანსებლის მოძიების შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული, თვითმმართველობასთან საკონტაქტო სტრუქტურული ერთეულის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, უნივერსიტეტის თვითმმართველობას ენიჭება უფლება, პროექტი წარუდგინოს შესაბამის დამფინანსებლის უფლებამოსილ ორგანოს, ხოლო დაფინანსების მოპოვებისა და თანხის განკარგვის შემდეგ, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია წარუდგინოს უნივერსიტეტს.

16.4. წინასწარი ფინანსური გეგმის სქემასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს ასევე დამფინანსებელი ორგანიზაციის შესაბამის ორგანოს).

## მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებებით.

- 17.2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება, წინამდებარე დოკუმენტში, შედის თვითმმართველობის საერთო კრების მიერ.
- 17.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის საერთო კრებისა დამტკიცებისთანავე.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

